ევროკავშირი საქართველოსთვის

CSRDG

KONRAD ADENAUER STIFTUNG

სათემო ლიდერთა ფორუმი 2023
განაცხადების მიღება კონკურსისთვის
„2021-2022 წლების საუკეთესო სათემო ინიციატივა“

თემის განვითარების პროგრამა 2011 წლიდან ატარებს ერთობლივ სათემო შეხვედრებს. აღნიშნული საქმიანობა, ერთი მხრივ ემსახურება სათემო ჯგუფებს შორის გამოცდილების გაზიარებას. მეორე მხრივ, ხელს უწყობს სათემო ორგანიზაციებს, სამთავრობო სტრუქტურებსა და თემის განვითარებით დაინტერესებულ პირებს შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

წლიდან წლამდე გაერთიანებული შეხვედრების ფორმატი დაიხვეწა და უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო. 2015 წლიდან კი სათემო ლიდერთა ფორუმი პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმიანობას წარმოადგენს. ყოველწლიურად, ღონისძიება განსხვავებულ ფორმატში იგეგმება და მუდმივად გამოირჩევა საინტერესო სიახლეებით, თემატური სესიებით და სხვადასხვა ტიპის კონკურსებით.

სათემო ლიდერთა ფორუმი, როგორც ერთობლივი სათემო შეხვედრა, წლიდან წლამდე უფრო და უფრო მეტ სათემო მოძრაობის მონაწილე და მხარდამჭერ ადამიანს აერთიანებს, ხელს უწყობს მათ შორის კონტაქტების გაღრმავებას, რეგიონთაშორისი კავშირების დამყარებას და ადგილობრივი ინიციატივების წახალისებას.

დამატებითი ინფორმაცია სათემო ლიდერთა ფორუმის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე

სათემო ლიდერთა ფორუმის ერთ-ერთი გამორჩეული ღონისძიება გახლავთ წლის საუკეთესო სათემო ინიციატივის/პროექტის კონკურსი. ღონისძიებაზე წინასწარ კონკურსის საფუძველზე 5-6 პროექტის დამსწრე საზოგადოებისადმი წარდგენა ხდება. პრეზენტაციების საფუძველზე ფორუმზევე ხდება ორი გამარჯვებულის გამოვლენა, ჟიურისა და აუდიტორიის რჩეულის, რომელთაც სხვადასხვა ტიპის ჯილდოები გადაეცემათ.

კონკურსის პირობები

კონკურსზე წარსადგენი ინიციატივები/პროექტები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- სათემო ინიციატივის/პროექტის ქვეშ იგულისხმება, კონკრეტული თემის დონეზე (სოფელი, დაბა, უბანი) მოქმედი სათემო ჯგუფის/ორგანიზაციის მიერ საკუთარი თემის კეთილდღეობაზე მიმართული ნებისმიერი პროექტი და/ან საკუთარი ძალებით განხორციელებული ინიციატივა, იქნება ეს საგანმანათლებლო ხასიათის, გარემოსდაცვითი, ქალების, ახალგაზრდების თუ მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებაზე მიმართული თუ სოფლის ეკონომიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებული

- ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 25 000 ლარს

- არ განიხილება თემში, მხოლოდ ერთი კონკრეტული სპონსორის/გავლენიანი პირის მიერ დაფინანსებული ინიციატივები

- გაითვალისწინეთ, რომ ინიციატივა/პროექტი განხორციელებული უნდა იყოს 2021-2022 წლებში, თუმცა განიხილება ისეთი პროექტებიც რომელთა განხორციელება დაიწყო 2022 წელს და დასრულდა არაუგვიანეს 2023 წლის ივნისისა

შერჩევის პროცესი

პროექტები სათემო ფორუმზე წარსადგენად შეირჩევა შემდეგი კრიტერიუმებით:

- პროექტით მოგვარებული პრობლემის საჭიროების სიმწვავე
- მასში მოსახლეობის ჩართულობის და ადგილობრივი რესურსების მობილიზაციის ხარისხი
- პროექტით მიღწეული შედეგის შენარჩუნების/გაგრძელების პოტენციალი
- პრობლემის მოგვარების ორიგინალური/განსხვავებული მიდგომა

გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წარმომადგენლებისგან. საბჭოს მიერ მოხდება 5-6 კანდიდატურის შერჩევა.

საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად საბჭოს შეუძლია განმცხადებლისგან მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია და ასევე, პირისპირ შეხვედრა.

შერჩევის შემდეგ გუნდს ექნება კანდიდატურებთან ინტენსიური კომუნიკაცია და მათ პრეზენტაციების მოამზადებაში გაუწევს დახმარებას. შერჩეულ კანდიდატებს აღარ მოუწევთ სათემო ფორუმზე მონაწილეობისთვის სპეციალური რეგისტრაციის გავლა.

საპროექტო განაცხადის წარდგენის პროცედურა

დაინტერესებულმა სათემო ორგანიზაციებმა/ჯგუფებმა შევსებული განაცხადი (იხილეთ, დანართი #1 - სათემო ინიციატივის განაცხადის ფორმა) უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: Nia.chelidze@csrdg.ge

განაცხადების მოწოდების ბოლო ვადაა: 15 სექტემბერი 18:00 საათი.

საბოლოო გადაწყვეტილება პროექტების შერჩევის თაობაზე მიღებული იქნება არაუგვიანეს 29 სექტემბრისა. ყველა ტიპის პასუხი პროექტის წარმდგენებს ეცნობებათ წერილობით, განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე. დაგვიანებით წარმოდგენილი განაცხადები არ განიხილება.

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ

საკონტაქტო პირი 1:
ნინო ვასაძე, თემის განვითარების პროგრამის კოორდინატორი
ელ.ფოსტა: nino.vasadze@csrdg.ge

საკონტაქტო პირი 2:
ნია ჭელიძე, თემის განვითარების პროგრამის კოორდინატორის ასისტენტი
ელ.ფოსტა: nia.chelidze@csrdg.ge

განმახორციელებელი ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი 1995 წელს შეიქმნა და სამოქალაქო სექტორში წარმატებული მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა თემის განვითარება, რომლის მიზანია ადგილობრივი ლიდერების საინიციატივო ჯგუფების შექმნა და გაძლიერება, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, ადგილობრივ დონეზე არსებული პოტენციალის უკეთ რეალიზება, თემის განვითარებაში ქალების ჩართულობის გაზრდა და მათი სამოქალაქო ლიდერებად ჩამოყალიბება.

www.csrdg.ge – www.cdrc.ge

პროექტის შესახებ ინფორმაცია

სათემო ლიდერთა ფორუმი იმართება საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ორგანიზებით, პროექტის "სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა" ფარგლებში, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით.
წლევანდელი ფორუმის მხარდამჭერები ასევე არიან: ორგანიზაცია „პური მსოფლიოსათვის", გაეროს განვითარების ერთობლივი პროგრამა „გენდერული თანასწორობისთვის" და ბირმინგემის უნივერსიტეტი.

სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა

მხარდამჭერები